სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/37

ქ. თბილისი 12 აპრილი 2023წ.

„საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/42 და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების ცვლილების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-04/115 დადგენილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის. ასოც, პროფესორ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/42 დადგენილებით დამტკიცებულ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) იღებს გადაწყვეტილებას საექსპერტო კომიისიის შექმნის თაობაზე საკვლევი თემის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში ან/და სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული საკვლევი თემის და ნაშრომის შინაარსის

შესაბამისობასთან დაკავშირებით ან/და წინამდებარე დებულების, დოქტორანტურის დებულების ან/და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნების არსებითი დარღვევის შემთხვევაში;";

ბ) მე-4 მუხლს მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-12 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სადისერტაციო საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციური ფორმით ან გამოკითხვის წესით, გარდა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მოწვეული სხდომისა.";

გ) მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების/დარგის წარმომადგენელი/სპეციალობის, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია თანამდებობა.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის შემადგენლობაში წევრის სტატუსით შეიძლება შეყვანილ იქნას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით შერჩეული სადისერტაციო საბჭოს წევრი ან სხვა, შესაბამისი მიმართულების/დარგის სპეციალობის, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.";

დ) მე-9 მუხლს მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს 8^1, 8^2 და 8^3 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8^1. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე და საექსპერტო კომისიის/ექსპერტის დასკვნა რეაგირებისათვის გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან ან გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს.
8^2. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, თუ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის 2/3-ზე ნაკლებმა დაუჭირა მხარი, სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე. ამ შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმს უნდა დაერთოს სადისერტაციო საბჭოს იმ წევრების არგუმენტირებული დასაბუთება, რომლებმაც წინააღმდეგ მისცეს ხმა. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი არგუმენტირებული დასაბუთების შეფასებისთვის შექმნას საექსპერტო კომისია ან მოიწვიოს ექსპერტი. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე და საექსპერტო

კომისიის/ექსპერტის დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეაგირებისათვის გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან ან გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს.

8^3. საპრეტენზიო კომისიის მიერ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს საკითხის ხელახლა განხილვას საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად".

ე) მე-10 მუხლს მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს 8^1 და 8^2 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8^1. საპრეტენზიო კომისია საჩივარს განიხილავს და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) აკმაყოფილებს საჩივარს და ცვლის ან აუქმებს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას;

ბ) არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას.

8^2. დაინტერესებული პირი და სადისერტაციო საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან ახსნა-განმარტების მისაცემად დაესწრონ საპრეტენზიო კომისიის მიერ საჩივრის განხილვის სხდომებს.".

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-04/115 დადგენილებით დამტკიცებულ დოქტორანტურის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-13 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე საუნივერსიტეტი სადისერტაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დაცვის შეფასება აისახება შეფასების ელექტრონულ უწყისში.";

ბ) მე-13 მუხლს მე-16 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-17-22-ე პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან ან გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო კომისიის მიერ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში უზრუნველყოფს გადაწყვეტილებისა და საექსპერტო კომისიის/ექსპერტის დასკვნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაგზავნას შესაბამისი ფაკულტეტისთვის.

18. საექსპერტო კომისიის/ექსპერტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების შესაძლებლობის თაობაზე რეკომენდაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით, მიღებული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს წინადადებას სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავებისა და დოქტორანტის მიერ გასავლელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ეტაპების თაობაზე დოქტორანტის სწავლების დამატებითი ვადების გათვალისწინებით. თუ დარჩენილი

სწავლების დამატებითი ვადა არ არის საკმარისი ან სწავლების დამატებითი ვადის ამოწურვის შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავებისა და დაცვის მიზნით განისაზღვრება საჭირო ვადა, მაგრამ არა უმეტეს ორი სემესტრისა, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

19. ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე დეპარტამენტში წარადგენს სამსახურებრივ ბარათს და შესაბამის დოკუმენტაციას დოქტორანტისათვის სტუდენტის სტატუსის დამატებით სემესტრში/სემესტრებში გაგრძელების თაობაზე, რის საფუძველზე, დეპარტამენტი ამზადებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების პროექტს.

20. გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვა და ხარისხის მინიჭება ხორციელდება ამ დებულებით და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

21. გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც იყო დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის წევრი.

22. საექსპერტო კომისიის/ექსპერტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების შესაძლებლობის თაობაზე რეკომენდაციის არარსებობის ან საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე განმეორებით უარის თქმის შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.“.

გ) მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წინამდებარე დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, დოქტორანტის მიერ არანაკლებ ერთი სტატიის ინდექსირებულ სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნების ნაწილში, ამოქმედდეს 2021/2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე. 2021/2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრამდე ჩარიცხული დოქტორანტების ვალდებულებას წარმოადგენს, სწავლის პერიოდში არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, რომელთაგან ერთი უნდა იყოს თანაავტორ(ებ)ის გარეშე, ხოლო ერთი - გამოქვეყნებული საზღვარგარეთ, მაღალრეიტინგულ რეფერირებად გამოცემაში.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**